ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

G E O R G I A
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

6010 ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N51
ტელ: (0422 27 28 93)

N51, Pridon Khalvashi Ave, Georgia 6010
Tel: (0422 27 28 93)

N 09/958
26/11/2020

958-09-2-202011261236

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველოს უფროს
ბატონ ჯემალ ნაკაშიძეს

ბატონო ჯემალ,

2020 წლის 10 ნოემბერს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოში შემოსული განცხადება № 08/567 მოქალაქე ნაზიბროლა რეხვიაშვილისგან, რომელიც მოითხოვს ტყის სახეობების ფიტოსანიტარულ მდგომარეობაზე ინფორმაციას გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს, ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ჩატარებული ფიტოსანიტარული მონიტორინგით შესწავლილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყისშემქმნელი მერქნიანი სახეობების სანიტარული მდგომარეობა და ირკვევა, რომ ამ სახეობების სანიტარული მდგომარეობა, ძირითადში დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასაკობრივი ხანდაზმულობით გამოწვეულ ერთეული ხეების ხმობას. ნაძვის ხმობა, ძირითადად გამოწვეულია ქერქიჭამიების მავნე ზემოქმედებით, რომლის წინააღმდეგ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ ყოველწლიურდ ტარდება ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებები, როგორიცაა: ფერომონიანი მწერსაჭერების განთავსება, ენტომოფაგის ჩასახლება, ხმელი და ხმობადი ხეების მოჭრა გაქერქვა და ტყიდან გამოტანა, რამაც საგრძნობლად შეამცირა მავნებელი მწერების რაოდენობა და გააუმჯობესა ტყის სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება წითელი ნუსხის სახეობების მდგომარეობას, დღემდე პრობლემას წარმოადგენს ჩვეულებრივი წაბლი((Castanea sativa), რომელიც „წაბლის ქერქის კიბო“-ს უარყოფითი ზემოქმედებით, რომლის გამომწვევია სოკო „Cryphonectria parasitica“, მასიურად დაავადებულია წაბლის ხეები და ხმება. გვხდება როგორც ჯგუფურ-კერობრივი ხმობა, ასევე გაფანტული ტიპის ხმობა, რომლის წინააღმდეგ ტყის ნავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მიერ უკვე

რამდენიმე წელია ლაბორატორიულ პირობებში მიმდინარეობს ენდოტიას გამომწვევი სოკოს საწინააღმდეგოდ სასარგებლო ჰიპოვირულენტური სოკოს გამოყვანა და შემდგომ მათი ჩასახლება დაავადებულ წაბლნარებში. დღეისათვის ჰიპოვირულენტური სოკო ჩასახლებულია ხელვაჩაურისა და ქედის სატყეო ადმინისტრაციების ისეთ კვარტლებში, სადაც მკვეთრად შეინიშნებოდა წაბლის დაავადების ნიშნები. შესაბამისად ჩასახლებულ კვარტლებში ჩატარებული ფიტოსანიტარული მონიტორინგით გაირკვა, რომ დაავადებულ წაბლს დაწყებული აქვს გამოჯანსაღება. თუმცა ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არის გარკვეული შედეგი.

ასევე საგანგაშო მდგომარეობაშია კოლხური ბზის სანიტარული მდგომარეობა. თავდაპირველად ბზა დაავადებული იყო ე. წ. „ბზის სიდამწვრით“, რომლის გამომწვევია პათოგენი სოკო „Cylindrocladium buxicola“. შემდეგ ამ დაავადებას დაემატა ინვაზიური მავნებელი ბზის ალურა „Cydalima perspectalis“. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში რამდენბჯერმე იქნა დაავადებული ბზის კორომები შეწამლული, მაინც ვერ მოხერხდა კოლხური ბზის გადარჩენა ტყის მასივებში. როგორც მავნებლის, ასევე სოკოს მავნე ზემოქმედების გამო აჭარის ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბზები მთლიანად გახმა. ბოლო პერიოდში ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური კოლხური ბზის გადარჩენის მიზნით აწარმოებს კერძო სექტორში შემორჩენილი ჯანსაღი ბზის კალმების შერჩევას და შემდგომ მის დაკალმებას ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის თიკერის სატყეოში განთავსებულ სანერგეში. დღეისათვის სანერგეში უკვე გახარებულია ათიათას ძირზე მეტი სხვადასხვა ასაკის ბზის კალმები. მათზე მიმდინარეობს ეტაპობრივად ფიტოსანიტარული მონიტორინგი.

პატივისცემით,

თემურ ყურშუბაძე

სააგენტოს უფროსი
ხელმძღვანელობა